საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030137274562619

№ 01-159/ო **02 / მაისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სათათბირო ორგანოს - ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განსაზღვრისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სათათბირო ორგანო - ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ზაზა ბოხუა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მარინა დარახველიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

დ) კახაბერ ძიმისტარიშვილი - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ე) ნინო ოდიშარია - სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ვ) შორენა ოქროპირიძე - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

ზ) ეკატერინე ადამია - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

თ) ქეთევან გოგინაშვილი - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

ი) ამირან გამყრელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, საბჭოს წევრი;

კ) ვალერი გაზრდელიანი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მეურვეობა მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი.

ლ) მაგდა ნასყიდაშვილი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. საბჭოს მუშაობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) აკაკი ზოიძეს - საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) თამთა დემურიშვილს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი;

გ) ეკა დგებუაძეს - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი;

დ) ელენე ჟორჟოლაძეს - საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მთავარი სპეციალისტი;

ე) ირინე ობოლაძეს - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) რუსუდან კლიმიაშვილს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის წარმომადგენელი;

ზ) ირმა ხაბაზს - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“;

თ) ნათია ნაცვლიშვილს - UNDP გაეროს განვითარების პროგრამა;

ი) ნინო მახაშვილს - „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - GIP თბილისის“ ხელმძღვანელი;

კ) მანანა შარაშიძეს - საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე;

ლ) ეკა ჭყონიას - საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარე;

მ) ლაშა კილაძეს - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორი;

ნ) დავით ზურაბაშვილს - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილე;

ო) ნინო ოკრიბელაშვილს - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს;

პ) ანა ჭუმბურიძეს - შპს „მე-5 კლინიკური საავადმყოფოს“ ფსიქიატრიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ჟ) მანანა ელიაშვილს - შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი;

რ) ლალი ლალიაშვილს - შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი;

ს) გოჩა ბაკურაძეს - შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელი;

ტ) ეკა ზოიძეს - შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფოს“ დირექტორი;

უ) ბიძინა მგალობლიშვილს - შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი;

ფ) ია შეყრილაძეს - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელი;

ქ) გიორგი გელეიშვილს - „მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრის“ დამფუძნებელი, ექიმი-ფსიქიატრი;

ღ) ჯანა ჯავახიშვილს - საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოება - GIP - თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს-ცენტრი;

ყ) ნანა ზავრადაშვილს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქიატრიის კათედრა, ადამიანის უფლებები ჯანდაცვაში;

შ) ნანა აღაპიშვილს - ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობა“ - აღმასრულებელი დირექტორი;

ჩ) მარიამ ჯიშკარიანს - წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი „ემპათია“, მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის სამეცნიერო სექციის „წამების ფსიქოლოგიური შედეგები და აღკვეთა“ - აღმასრულებელი საბჭოს წევრი, საქართველოს ექიმთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის ეროვნული პრევენციული ჯგუფის ექსპერტ-ფსიქიატრი;

ც) ლალი ბანძელაძეს - ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის განყოფილების კოორდინატორი;

ძ) ნათელა ბახტაძეს - ფსიქიურად დაავადებული პირების მომვლელთა და მხარდამჭერთა ასოციაციის „აფრა საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარე;

ჭ) მარინა კურატაშვილს - ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის აღმასრულებელი დირექტორი.

3. საბჭოს მიზნები და ამოცანებია:

ა) ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და რეფორმის განსაზღვრა და მიმდინარეობის მეთვალყურეობა;

ბ) ფსიქიატრიული სამედიცინო მომსახურების განვითარება და თანამედროვე ფსიქიატრიული სერვისების დანერგვის ხელშეწყობა;

გ) ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

დ) შესაბამისი სამედიცინო პერსონალის – ექიმების, ექთნების, ასევე სხვა დამხმარე სპეციალისტების პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავება;

ე) სამართლიანი და პაციენტზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდებისათვის ოპტიმალური რეკომენდაციების მომზადება;

ვ) მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული გაიდლაინების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობა;

ზ) მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პირველადი ჯანდაცვის როლის გასაძლიერებლად რეკომენდაციების შემუშავება;

თ) თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების გეგმის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა, რათა ჰოსპიტალიზაციამდე და ჰოსპიტალიზაციის შემდეგ ყველა პაციენტს ჰქონდეს ამბულატორიულ მომსახურებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა;

ი) ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს მართვის, მარეგულირებელ (მათ შორის საკანონმდებლო) სექტორებში განსახორციელებელ ცვლილებებზე რეკომენდაციების მომზადება.

4. საბჭოს სხდომები გაიმართოს საჭიროებისამებრ, სხდომის მოწვევის დროს და დღის წესრიგს განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.

5. საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

6. კენჭისყრა გაიმართოს ღია წესით. კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად ჩატარების შესახებ.

7. კონკრეტული საკითხების აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარკვეული ღონისძიებების განხორციელების და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საბჭო უფლებამოსილია შექმნას სამუშაო ჯგუფები, როგორც საბჭოს წევრებისგან, ასევე მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტებისგან.

8. საბჭოს გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც, სათათბირო ხმის უფლებით ან მის გარეშე.

9. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით წარედგინოს მინისტრს.

10. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ - ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სათათბირო ორგანოს - ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის N01-216/ო ბრძანება.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო